ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 18
28/02/2019

18-48-4-201902281354

,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №48 85 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის N50 დადგენილებით განსაზღვრული, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №48 85 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ისიდორე ლომთაძეს.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2019 წლის 28 თებერვლის N48 18 განკარგულებით

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი:

1. ქ. ტყიბულში მრავალბინიანი კორპუსების შიდა ეზოების რეაბილიტაცია;
2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;
3. ქალაქის შიდა გზების ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
4. სოფლების შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობა;
5. სოფელ გელათში, მონასტერთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაცია;
6. მრავალბინიანი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია;
7. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;
8. ხრესილის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია;
9. საჯარო სკოლების რეაბილიტაცია;
10. ქ. ტყიბულში, რუსთაველის ქუჩაზე მდინარის დამცავი კედლის რეაბილიტაცია.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო